

**ხელშეკრულება N 00.00/00-22**  
სატელეფონო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

00 ივლისი 2022

ერთი მხრივ შპს „ტელეკო სისტემს“, (შემდგომში „ოპერატორი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი გულიაშვილის სახით და მეორეს მხრივ „შპს“ (შემდგომში – „აბონენტი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, (სახელი, გვარი) სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის გამოყოფილ (გაცემულ) სატელეფონო ნომერზე (მისი მეშვეობით) აბონენტისთვის ძირითადი სატელეფონო ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებების გაწევას. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის აბონენტი ვალდებულია გადაუხადოს ოპერატორს შესაბამისი საზღაური, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო სადეპოზიტო (საავანსო) ანგარიშსწორების წესით. პირობები და ტარიფები მოცემულია ამ ხელშეკრულებასა და მის დანართში (დანართი N1). აღნიშნული დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მისი მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

**2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და აბონენტისაგან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მომსახურების საფასური მითითებულია დანართი N1-ში და ოპერატორის ვებ-გვერდზე, რომელსაც აბონენტი დეტალურადაა გაცნობილი და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.
- 2.2. აბონენტი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს იხდის ამ ხელშეკრულებასა და მის დანართში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 2.3. სატელეფონო ნომრის გამოყოფისათვის აბონენტი საფასურს იხდის წინასწარ.
- 2.4. აბონენტი ვალდებულია, დეპოზიტის (ავანსის) სახით ოპერატორს გადაუხადოს **გარკვეული** თანხა, საიდანაც მოხდება ადგილობრივი, საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და **ფიჭურ** ტელეფონებთან განხორციელებული ზარების საფასურის გამოქვითვა.
- 2.5. გადახდა წამრმოებს უნადლო ანგარიშსწორების სახით, ხელშეკრულებაში და დანართი N1-ში მითითებულ ოპერატორის ანგარიშის ნომერზე.
- 2.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში.
- 2.7. აბონენტის საავანსო თანხიდან კონკრეტული მომსახურების საფასურის დაფარვის რიგითობას დამოუკიდებლად განსაზღვრავს ოპერატორი.
- 2.8. აბონენტისათვის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხდება საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიმართ, ვიდრე სხვა რამ არ იქნება დამტკიცებული, ვრცელდება უტყუარობის პრეზუმფიცია.

**3. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა**

**3.1 აბონენტი უფლებამოსილია:**

- 3.1.1. მოსთხოვოს ოპერატორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 3.1.2. ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს.
- 3.1.3. მოითხოვოს მომსახურების შეჩერება გარკვეული ვადით, რით შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ოპერატორს არაუგვიანეს 10 დღისა.
- 3.1.4. მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ოპერატორს არაუგვიანეს 10 დღისა.

3.1.5. წარუდგინოს ოპერატორს წერილობითი პრეტენზიები წარდგენილ გადასახადებთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, რასაც თან უნდა ერთვოდეს სატელეფონო საუბრების დადგენილი ფორმის ამონაბეჭდი.

### **3.2 აბონენტი ვალდებულია:**

- 3.2.1 გადაიხადოს მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.
- 3.2.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სრულად დაფაროს კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება.
- 3.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამავე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილ ყოველ შეტყობინებას აქვს იურიდიული შედეგები, მიუხედავად იმისა ადრესატს ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა აღნიშნული შეტყობინება.
- 3.2.4. დაიცვას ოპერატორის მიერ გამოყენებული ყველა ტექნიკური პროცედურა, რეკომენდაცია და მეთოდური მითითებები, რომლებსაც ოპერატორი წარუდგენს აბონენტს.
- 3.2.5. აბონენტი ვალდებულია დაიცვას თავისი ქსელი ნებისმიერი არასანქცირებული შეჭრისგან; თუ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა აბონენტი არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან აანაზღაუროს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასური.
- 3.2.6. აბონენტი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე.
- 3.2.7. არ დაუშვას ოპერატორისგან მიღებული მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა მესამე პირზე;
- 3.2.8. არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ადგილობრივი, საერთაშორისო ფასიანი ტრაფიკის ტერმინაციის ან/და გადამისამართების სქემაში;
- 3.2.9. შეატყობინოს ოპერატორს სპეციალიზებული სატელეფონო სადგურის (PBX და სხვა) არსებობის შესახებ და მიიღოს ზომები მისი დაცვისათვის, რათა არ მოხდეს მისი არასანქცირებული გამოყენება კომპანიის საზიანოდ.

### **3.3 ოპერატორი უფლებამოსილია:**

- 3.3.1. შეცვალოს მომსახურების ტარიფები;
- 3.3.2. შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება (შუზღუდოს გამავალი ზარი) იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დააგვიანებს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდას, რის შესახებაც ოპერატორი აბონენტს ატყობინებს წინასწარ; შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხორციელდება შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის დასრულებამდე; მომსახურების შეზღუდვის პერიოდში აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი.
- 3.3.3. შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრელობის შემთხვევაში ოპერატორს უფლება აქვს შეუწყვიტოს აბონენტს მომსახურების მიწოდება სრულად მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 10 (ათი)კალენდარულ დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

### **3.4 ოპერატორი ვალდებულია:**

- 3.4.1. აბონენტს მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- წინასწარ წერილობით შეატყობინოს აბონენტს მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ.
- 3.4.2. მომსახურების ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მინიმალურ ვადაში აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული ხარვეზები.
- 3.4.3. მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტს მიაწოდოს ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის და გაწეული მომსახურების შესახებ.
- 3.4.4. ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე.

## **4. ფორს-მაჟორი**

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი, შესაბამისი სამსახურების მიერ კომპანიის აპარატურის შემოწმება, კომპანიისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოქმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა პირობები,

რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

4.2. მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

## 5. დავების გადაჭრა

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დავებისა და ურთიერთპრეტენზიების გადაწყვეტა ხდება მხარეთა შეთანხმებით; თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული დავებისა და ურთიერთპრეტენზიების გადაწყვეტა ხდება სასამართლოს გზით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 1 (ერთი) წელი.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება ყოველი შემდეგი ერთი წლის განმავლობაში თუ 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია, თუ შეწყვეტის ინიციატორი მხარე 30 დღით ადრე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

6.4. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

## 7. ზოგადი დებულებები

7.1. მხარეები აღნიშნავენ, რომ ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ძირითად და დამატებით მომსახურების პირობებში, თუ კანონმდებლობით იმპერატიულად სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2. ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რომლის შესრულება სავალდებულოა წინამდებარე ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის.

7.3. მხარეები აღნიშნავენ, რომ მომსახურების ცვლილებად არ განიხილება სატელეფონო ზარის ტერმინაციის, სატელეფონო ზარის აკრეფისა და ტერმინალური მოწყობილობის გამოყენების წესის ცვლილება, აგრეთვე ახალი დამატებითი მომსახურების გააქტიურება და/ან არსებული დეაქტივაცია და სხვა ისეთი ქმედებანი, რომელიც გულისხმობს სერვისის დახვეწვას, გაუმჯობესებას, მოდერნიზებას, მომსახურების ცალკეული პირობების დაზუსტებასა და წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებას.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით მომსახურების პირობებში ცვლილების თაობაზე რაიმე სპეციალური დათქმის არსებობის შემთხვევაში, ცვლილება განხორციელდება მხოლოდ წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით;

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების სხვა ნაწილების ბათილობასა და ძალადაკარგულობას, თუ აღნიშნულის მიუხედავად შესაძლებელია ხელშეკრულების მიზნის მიღწევა.

7.6. ყველა ის საკითხი, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ ერთმანეთს შეატყობინონ ამავე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილ ყოველ შეტყობინებას აქვს იურიდიული შედეგები, მიუხედავად იმისა ადრესატს ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა აღნიშნული შეტყობინება.

7.8. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ოპერატორთან, მეორე – აბონენტთან.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები

„აბონენტი“

„ოპერატორი“

შპს „ტელეკო სისტემს“

ს/კ 205203279

მის.: თბილისი, ნუცუბიძის 221, კორპ.1ა, ბ.33

საკონტაქტო ნომერი: 2192999

ელ.ფოსტა: [tekla@telco.ge](mailto:tekla@telco.ge)

ვებ: <https://telco.ge/ka/ip-telephony/>

სს"თიბისი ბანკი": TBCBGE22;

ანგარიშსწორების ანგარიში: GE75TB4021536020100006

**დანართი #1**  
**(ხელშეკრულება N 00.00/00-22)**  
სატელეფონო მომსახურების შესახებ

სატელეფონო ნომერი: **2192 XXX**

სატელეფონო ნომრის ღირებულება:

**სატელეფონო ტარიფები:**

**ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი თითოეულ ნომერზე: 1 ლარი**

საქართველოს მობილური ოპერატორები: მაგთი, ბილაინი და ჯეოსელი - 1 წუთის ღირებულება - **0,07** ლარი

თბილისის ფიქსირებული ნომრები 1 წუთის ღირებულება - **0,04** ლარი

CDMA უსადენო (თბილისი / რეგიონები) 1 წუთის ღირებულება - **0,08** ლარი

რეგიონის ფიქსირებული ნომრები 1 წუთის ღირებულება - **0,07** ლარი

შიდა ქსელში, ტერიტორიის შეუზღუდავად 1 წუთის ღირებულება - **0** ლარი

საერთაშორისო ტარიფები იხილეთ ინტერნეტ მისამართზე:

<http://telco.ge/main/service.php?id=6&lang=geo>.

- ფასები მითითებულია ლარში დღგ-ს ჩათვლით

„აბონენტი“

„ოპერატორი“

შპს „ტელკო სისტემს“

ს/კ 205203279

მის.: თბილისი, ნუცუბიძის 221, კორპ.1ა,ბ.33

**საბანკო რეკვიზიტები:**

სს"თბილისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE75TB4021536020100006

საკონტაქტო ნომერი: 2192999 (119)